



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030450711083518

№ 04-179/ო

23 / მარტი / 2018 წ.

„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის რეალიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

„2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით დამტკიცებული „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის (დანართი N9) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე და 61-ე მუხლებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 20 მარტის N01/16187 (N04/10956; 23.02.2018 წ.) წერილის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებისათვის მოსარგებლეთა რეგისტრაციის წესი.
2. „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის პირის მოსარგებლედ ცნობა განხორციელდეს „ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში“ რეგისტრაციის საფუძველზე:
 - ა) „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის ფარგლებში მოსარგებლედ ცნობისათვის, ორსულმა პირმა, ორსულობის 13 0/7 კვირის ვადამდე, უნდა მიმართოს პროგრამის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას;
 - ბ) პროგრამის ფარგლებში მომსახურების მისაღებად, მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს ორსულის რეგისტრაცია ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში;
 - გ) ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში რეგისტრირებული მოსარგებლის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და სააგენტოს მხრიდან მოსარგებლედ ცნობა (დადასტურება/უარი) უნდა განხორციელდეს რეგისტრაციიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა (დასტურის თაობაზე მოქალაქე იღებს ინფორმაციას, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით);
 - დ) 2018 წლის 1 თებერვლიდან, დაუშვებელია ანტენატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულების შეცვლა, გარდა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის (საცხოვრებელი/სამუშაო ადგილის ცვლილება) და ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული გამონაკლისებისა (დადასტურებული დოკუმენტით - სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა NIV-100/ა). ზემოაღნიშნული მიზეზებით მოსარგებლის გადამისამართების საფუძველიანობაზე პასუხისმგებელია უშუალოდ მიმწოდებელი დაწესებულება.

3. ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, მოდულში ასახული ინფორმაციის დამუშავებისა და მოსარგებლედ ცნობის (დასტურის) უფლება მიენიჭოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების სამმართველოს შესაბამის თანამშრომელს (თანამშრომლებს);

ბ) სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელს ან მისი ბრძანებით განსაზღვრულ, საამისოდ უფლებამოსილ პირ(ებ)ს.

4. დაევალოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების უფროსებს, სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინონ ანგარიში ორსულთა რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, მოსარგებლის რეგისტრაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას.

6. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 17 იანვრის №04-27/ო ბრძანება.

8. „ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში“ 2017 წლის 1 თებერვლამდე რეგისტრირებულ ორსულებზე გავრცელდეს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 17 იანვრის №04-27/ო ბრძანებით დამტკიცებული მოსარგებლეთა რეგისტრაციის წესი.

9. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი



ზაზა სოფრომაძე